ხელშეკრულება №58
გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **25 ნოემბერი 2019 წელი**

შემსყიდველი: ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“, დირექტორის ბექა ხაბაძის სახით.

მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
საკონტაქტო ტელეფონები: 597971950
საიდენტიფიკაციო კოდი: 445419137
ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში: №GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი: შპს „BS METAL GROUP”-ის დირექტორის რომან გუნდაძის სახით
მისამართი: ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №22
ტელეფონი: +995 422 27 19 19
საიდენტიფიკაციო კოდი: 445414212
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიში: № GE39BG0000000768224200GEL

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი“ (შემდგომში „შემსყიდველი”) ხოლო მეორეს მხრივ: შპს „BS METAL GROUP” (შემდგომში „მიმწოდებელი”), საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი” თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს” დანართი N1-ით (კლასიფიკატორის კოდით CPV-18100000, CPV-18400000, CPV-19600000, CPV-24900000, CPV-30100000, CPV-31500000, CPV-31600000, CPV-39200000, CPV-39500000, CPV-44100000, CPV-44300000, CPV-44400000, CPV-44500000 და CPV-44800000) გათვალისწინებული საქონელი;

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიწოდებული საქონლის ხელშეკრულებით შეთანხმებულ მოთხოვნებთან და პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას. ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შემსყიდველის წარმომადგენლები.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხარისხიანი და შესაბამისად სტანდარტული ნორმების საქონლის მიწოდება;

ბ) საქონლის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია - მიმწიდებელს გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების პირობები.

4.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 05 დეკემბრამდე.

4.2. მიწოდების ადგილი - ქ. ბათუმი აეროპორტის გზატკეცილი №253.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე ხელშეკრულების ვადის შესაბამისად.

5.2. შესყიდვის ობიექტის (საქონელი) მიღება-ჩაბარება განხორციელდება მხარეებს შორის სათანადო აქტის გაფორმებით, მას შემდეგ რაც დასრულდება საქონლის მიწოდების პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს სულ 960,68 (ცხრაასსამოცი ლარი და 68 თეთრი) ლარს.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველზე" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურებული იქნება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 7. გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და სტანდარტული ნორმების.

7.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მოახდინოს დაუყოვნებლივ მისი შეცვლა.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 9. უფლებების გადაცემა

9.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10.3. შემსყიდველს მომსახურების ღირებულების გადასახადის დაგვიანების შემთხვევაში მიმწოდებლის სასარგებლოდ ეკისრება ვადა გადაცდენილი გადასახდელი თანხის 0,02%, ყოველი გადაცილებული დღისათვის.

10.4. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისმიწოდების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ეკისრება ყოველ გადაცილებულ დღეზე მომსახურების ღირებულების 0,02% საურავის სახით.

10.5. საჯარიმო სანქციების გადახდა მიმწოდებელს არ ანთავისუფლებს ხელშეკლრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. ამ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად ან მისი რომელიმე პუნქტი.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, სრული პროგრამა ან მისი ნაწილი.

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

მუხლი 16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 18. გადასახადები და ბაჟები

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

ა(ა)იპ „ბათუმის საცხენოსნო კლუბი"	შპს „BS METAL GROUP"
დირექტორი	დირექტორი
ბექა ხაბაძე	რომან გუნდაძე

Roman Gundadze

Digitally signed by Roman Gundadze
Date: 2019.11.25 16:15:41 +04'00'

დანართი N1

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი თანხა	თანხა კოდის მისედვით	CPV კოდი
1	სამუშაო ხელთათმანი ნაჭერი რეზინით გაჟღენთილი	ცალი	36	1,3	46,8	46,8	18100000
2	დამცავი სათვალე პლასტმასის safet goggle	ცალი	1	1,49	1,49	1,49	18400000
3	პოლ.პარკი 109 15მკრ+ (1ცალი)	ცალი	4	0,2	0,8	1	19600000
4	პოლ.პარკი 109 15მკრ+	ცალი	2	0,1	0,2		
5	DAISON შემავსებელი ჰერმეტიკა შავი	ცალი	2	10,2	20,4	64,17	24900000
6	ქაფი ANTIA 850 ML PREMIUM PU FOAM	ცალი	3	11,45	34,35		
7	წებო ANTIA 400+100 GR	ცალი	1	9,42	9,42		
8	სკოჩი ქაღალდის 20მ*3,6მმ (1*96)	ცალი	1	1,52	1,52	1,52	30100000
9	ნათურა ყირ СЦ225-300 T68 e27	ცალი	2	2,54	5,08	14,26	31500000
10	Lin4-4227-ლინუსი. ნათურა ვარვარა PS55 220V 100W E27 Clear	ცალი	2	1,03	2,06		
11	ნათურა ყირ Б 225-40-3 K55 e27	ცალი	1	0,59	0,59		
12	ნათურა ყირ Б240-100-3 K55 e27	ცალი	1	0,59	0,59		
13	ნათურა Zn C35 Frosted Big Tailed 60w 220-240v e14	ცალი	6	0,99	5,94		
14	Volsten საიზოლაციო ლენტი V02-7Y-13x15-10 , 10290 ყვითელი	ცალი	2	1,2	2,4	3,88	31600000
15	საიზოლაციო წებოვანი ლენტი Electrical tape blue	ცალი	1	1,48	1,48		
16	სათლი პლასტმასის ცხვირით 25ლ 254338	ცალი	3	8	24	134,4	39200000
17	სათლი პლასტმასის 16ლ 254063	ცალი	5	6,25	31,25		
18	რეზინის სამშენებლო სათლი55. CAP-55	ცალი	1	14,97	14,97		
19	4583 ჩამჩა წყლის	ცალი	1	2,62	2,62		
20	Duyar Elastik Bucket 26L (ელასტიკური ვედრო)	ცალი	3	18,2	54,6		
21	რეზინი კაუჭებით 12mm*1.5m	ცალი	2	3,48	6,96		
22	თოკი 14	კგ	1,21	6,95	8,41	58,41	39500000
23	თოკი 12	კგ	2,475	8,95	22,15		
24	თოკი 12	კგ	2,9	8,95	25,96		
25	ძაფი 70G	ცალი	1	1,89	1,89		
26	ვინტილი მექანიკური შავი მილისათვის გ/რ 3/4Mx25	ცალი	1	9,9	9,9	106,66	44100000
27	ხამუთი 16-25 მმ (2 ცალი)	ცალი	1	0,58	0,58		
28	შლანგის გადამყვანი 16. 250-10701	ცალი	1	0,35	0,35		
29	გადამყვანი PPR 20*32	ცალი	1	0,53	0,53		
30	მუხლი 25*3/4 შიგა ხრახნით (თეთრი) Firat	ცალი	1	3	3		
31	შტუცერი 26.9X2.5	ცალი	2	3,96	7,92		
32	LGH-006 სარწყავი შლანგი Lux Garden Flexible 3/4x25m	ცალი	1	84,38	84,38		
33	Magmaweld Rutil Welding Electrode ESR 13 - 2.5 x 350 (mm) -2.15 kg /ელექტროდი	ცალი	1	13,95	13,95	13,95	44300000
34	P-803A ეზოს კრანი პლასტმასის ზომით.20	ცალი	1	3,45	3,45	3,45	44400000
35	ფუნჯი ლურჯი ტარით №3	ცალი	1	3,45	3,45	404,39	44500000
36	ლილვაკი	ცალი	1	1,99	1,99		
37	ლილვაკის პირი 10სმ დეკ	ცალი	1	16,95	16,95		
38	BW125/2.0 მეტალის საჭრელი დისკო 125*2.0*22.23	ცალი	4	1,85	7,4		
39	ფუნჯი ხის ტარით N 3	ცალი	1	3,5	3,5		
40	ფუნჯი წითელი ტარით N 4	ცალი	1	2,98	2,98		
41	Duyar Spreading Brush / Code 830 (ჭერის ფუნჯი) 6x17x230mm x170mm	ცალი	2	8,94	17,88		
42	ფოცხი 211149	ცალი	1	4,95	4,95		

43	ფოცხი წით	ცალი	1	4	4		
44	ლურსმნის ამოსაღები 80სმ	ცალი	1	20,55	20,55		
45	ნიჩაბი სახელურის გარეშე (წითელი)	ცალი	1	5,45	5,45		
46	ნიჩაბი სახელურის გარეშე	ცალი	1	5,8	5,8		
47	KS Plastic Economic Roller 20 sm/ემულსიის კატოკი	ცალი	1	5,7	5,7		
48	ხის ტარი 1.25მ უმ. ხ.	ცალი	3	3,5	10,5		
49	ნიჩაბი ალუმინის პატარა 211691	ცალი	1	20	20		
50	ფოცხის ტარი	ცალი	2	3	6		
51	ლითონის ჯაჭვი 5MM	კგ	0,905	7,95	7,195		
52	ჯაჭვი 5მმ 075100 თეთრი	ცალი	1	5	5		
53	ბოქლომი EXTRA მაღალი 80 მმ	ცალი	3	6,43	19,29		
54	TOL32-15076 ქანჩის გასაღების ნაკრები 8ც.-იანი	ცალი	1	46,71	46,71		
55	2.03-12x30-25კგ ჭანჭიკი	კგ	0,2	7,98	1,596		
56	2.03-10x150-25კგ ჭანჭიკი	კგ	0,25	10	2,5		
57	TOL75-30030 მეტალის საჭრელი მაკრატელი 10"/250MM	ცალი	1	15,5	15,5		
58	ბალგარკის ხერხის პირი ხისთვის 160*60T BMX-221	ცალი	1	19,92	19,92		
59	ბარგალკა 1010W (AG10108)	ცალი	1	118,5	118,5		
60	საჭრელი რგოლი 125*1,6*22,23 14 A	ცალი	4	1,65	6,6		
61	საჭრელი რგოლი 150*2,0*22,23 14 A	ცალი	2	2,1	4,2		
62	კარაბინი ჩამკეტით 08 მმ	ცალი	4	2,97	11,88		
63	კარაბინი ჩამკეტით 07 მმ	ცალი	3	2,8	8,4		
64	პულივიზატორი მანქანის დისკისთვის- 0702	ცალი	1	11,95	11,95	106,30	44800000
65	პულივიზატორი მეტალიკი ნაცრისფერი- 0357	ცალი	1	9,4	9,4		
66	8695 ემალი ПФ-115 "ОПТИМА" შოკოლადის 2,7 კგ	ცალი	1	11,7	11,7		
67	5857 ემალი ПФ-115 "ОПТИМА" მწვანე 2,7 კგ	ცალი	2	11,7	23,4		
68	9059 "ОПТИМА" გრუნტი-ემალი ჟანგზე 3в1რუხი 2,7 კგ	ცალი	1	18,8	18,8		
69	8908 "ОПТИМА" გრუნტი-ემალი ჟანგზე 3в1თეთრი 2,7 კგ	ცალი	1	18,8	18,8		
70	5826 ემალი ПФ-115 "ОПТИМА" თეთრი 2,7 კგ	ცალი	1	12,25	12,25		
	ჯამი				**960,68**		

შემსყიდველი ----------

მიმწოდებელი ----------

Roman Gundadze

Digitally signed by Roman Gundadze
Date: 2019.11.25 16:14:49 +04'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი **25 ნოემბერი 2019 წ.**

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის დირექტორი ბექა ხაბაძე და ამავე ორგანიზაციის საქმეთამმართველი მამუკა სხილაძე ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ბათუმის საცხენოსნო კლუბს“ და შპს „BS METAL GROUP”-ის დირექტორის რომან გუნდაძეს შორის (CPV-18100000, CPV-18400000, CPV-19600000, CPV-24900000, CPV-30100000, CPV-31500000, CPV-31600000, CPV-39200000, CPV-39500000, CPV-44100000, CPV-44300000, CPV-44400000, CPV-44500000 და CPV-44800000) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის

დირექტორი: **ბექა ხაბაძე**

საქმეთამმართველი: **მამუკა სხილაძე**